



SOCIÉTÉ FRANÇAISE
DE PHARMACIE ONCOLOGIQUE
ONCOLIEN®

პაციენტის საინფორმაციო ფურცელი



RIBOCICLIB - KISQALI®

რა არის KISQALI

მოლეკულის აღწერა	აღწერა
რიბოციკლიბი	200 მგ ტაბლეტი: იისფერი 

როგორ უნდა მიიღოთ წამალი?

წამლის დოზირება განსაზღვრულია თქვენი ექიმის მიერ.

თქვენს შემთხვევაში, არის მგ/დღეში, ანუ 200 მგ-იანი ტაბლეტი, რომელიც უნდა მიიღოთ ერთ მიღებაზე, 3 კვირის განმავლობაში, ყოველ 4 კვირაში (7 დღიანი შესვენება)

ტაბლეტები გადაყლაპეთ მთლიანად, ერთ ჭიქა წყალთან ერთად, დაქუცმაცების, დაჭრის, დაღეჭვის ან განზავების გარეშე. მიიღეთ მიიღეთ ფიქსირებულ დროს, კვებისას ან კვების გარეშე, სასურველია დილით.

დავინწყების ან ლებინების შემთხვევაში: არ მიიღოთ დამატებითი დოზა, დაელოდეთ შემდეგ მიღებას.

დოზირება - მიღების წესი

ერთი მიღება დღეში, ფიქსირებულ დროს, კვებისას ან კვების გარეშე	  
1-დან 21-ე დღემდე, განაახლეთ 29-ე დღეს	 ...   ...  დ1 ... დ21 ... დ22 ... დ28

როგორ მოიქცეთ, რომ არ გამოგელით მარაგი?

ეს წამალი ხელმისაწვდომია ქალაქის აფთიაქებში.

მის მიწოდებას შესაძლოა დასჭირდეს გარკვეული დრო. ყურადღებით იყავით და წინასწარ დაგეგმეთ თქვენი რეცეპტის განახლება.

შეინახეთ ეს წამალი ორიგინალ შეფუთვაში, სითბოსა და ტენიანობისგან დაცულ ადგილას.

სხვა რა ინფორმაცია უნდა იცოდეთ?

გამარფრთხილებელი ზომები და მეთვალყურეობა

თქვენი მედიკამენტის მიღება საჭიროებს ბიოლოგიურ მეთვალყურეობას (სისხლის საერთო ანალიზის აღება, რომელიც საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ სისხლის მაჩვენებლებს, ღვიძლის ფუნქციებსა და ელექტროლიტების დონეს) და კლინიკურ მეთვალყურეობას (ელექტროკარდიოგრამა).

კონტრაცეფცია

ეს წამალი შეიძლება ზიანს აყენებდეს ჩანასახს. თქვენ და თქვენმა პარტნიორმა მკურნალობის მთელი პერიოდის განმავლობაში და მისი შეწყვეტიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა გამოიყენოთ ეფექტური კონტრაცეპტული მეთოდები (პრეზერვატივი და სხვა მეთოდი).

მედიკამენტებთან და/ან კვებასთან ურთიერთქმედება

KISQALI®-ის სხვა პრეპარატებთან ერთად მიღებამ შესაძლოა გამოიწვიოს არასასურველი ეფექტები (პრეპარატის ეფექტურობისა და ამტანობის შემცირება). ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თქვენი ფარმაცევტი და მკურნალი ექიმი ინფორმირებული იყვნენ ყველა იმ მედიკამენტის და/ან სხვა ნივთიერებების (საკვები პროდუქტები, მცენარეები, პრობიოტიკები, ეთერზეთები, საკვები დანამატები და სხვ.) შესახებ, რომელსაც იღებთ



მაგალითი: მოერიდეთ კრაზანას და გრეიფრუტის მოხმარებას KISQALI®-თან ერთად. მოერიდეთ გარკვეულ დანამატებს, რომლებმაც შეიძლება გულის ტოქსიკურობა გამოიწვიოს, როგორცაა ბოლდო, ფუკუსი, აზიური ჟენშენი, პასიფლორა ან ბაბუანვერა.

რომელია არასასურველი გვერდითი მოვლენები?

ყველაზე გავრცელებული გვერდითი მოვლენები ჩამოთვლილია ქვემოთ. ასევე შესაძლოა სხვა გვერდითი ეფექტებიც გამოვლინდეს. დამატებითი ინფორმაციისთვის გაეცანით მედიკამენტის ინსტრუქციას ან მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

გვერდითი მოვლენები	
ყველაზე ხშირი	სისხლის საერთო ანალიზის მაჩვენებლების დარღვევები: ნეიტროფილების (ნეიტროპენია), ჰემოგლობინის (ანემია), თრომბოციტების (თრომბოციტოპენია) შემცირება, ელექტროლიტების შემცირება, ღვიძლის ფუნქციის ანალიზების დარღვევა. საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები: გულისრევა, პირის ღრუს ანთება (პირის ღრუს წყლულები), დიარეა, მადის დაკარგვა, წონის დაკლება, პირის სიმშრალე კანის დარღვევები: თმის ტექსტურის ცვლილებები, თმის ცვენა (არა სრული), კანის გამონაყარი, სინითლე, ქავილი გულის ფუნქციების დარღვევა: თვალის პრობლემები: მხედველობის დაბინდვა, სიმშრალე ან ქარბი ცრემლდენა სხვა: ინფექცია, დაღლილობა, კიდურების შებერილობა (შეშუპება), თავის ტკივილი, ზურგის ტკივილი, თავბრუსხვევა
ზოგიერთი ეფექტი განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს	პაციენტები, რომლებსაც აუტანლობა აქვთ სოიოს ლეციტინის ან არაქისის
როდის უნდა მიმართოთ სამედიცინო გუნდს?	
გააფრთხილეთ სამედიცინო გუნდი შემდეგ შემთხვევებში, თუ არ გაქვთ მიღებული კონკრეტული სამედიცინო რეკომენდაციები	ინფექციის მიმანიშნებელი სიმპტომები ტემპერატურა $> 38.5^{\circ}\text{C}$ ხველა, ყელის ტკივილი, ტკივილი შარდვის დროს, დიარეა სიცხესთან ერთად საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები მნიშვნელოვანი და/ან სწრაფი წონის დაკლების შემთხვევაში ძალიან ხშირი დიარეა, დღეში 4-ზე მეტჯერ კუჭში გასვლა პირის ღრუს ტკივილი ან წყლულები, რომლებიც ხელს უშლის ნორმალურ კვებას ინტენსიური ტკივილი მუცლის არეში 24 საათის განმავლობაში დაღევის და/ან დაახლოებით 48 საათის განმავლობაში ჭამის შეუძლებლობა კვირაში 3-ზე ნაკლები კუჭში გასვლა გულის დარღვევის მიმანიშნებელი სიმპტომები გონების დაკარგვა, გულის ფრიალი ტკივილები, რომელიც ხელს გიშლით ჩვეულ აქტივობებში
როგორ უნდა მოახდინოთ გვერდითი მოვლენების პრევენცია?	
ინფექცია	მოერიდეთ რისკის შემცველ ადგილებს (ხალხმრავლობა, ავადმყოფებთან კონტაქტი და ა.შ.). რეკომენდირებულია პნევმოკოკისა და გრიპის საწინააღმდეგო აცრა: ის თქვენ დაგიცავთ.
კანის მოვლა	ჰიგიენისთვის უპირატესობა მიანიჭეთ რბილ საპონს და დამატენიანებელ კრემს, გაიშრეთ ტამპონირებით. მოერიდეთ ნებისმიერი გამაღიზიანებელი საშუალების გამოყენებას. მზისგან თავის დასაცავად გამოიყენეთ მზისგან დამცავი კრემი და მოერიდეთ მზის სხივების ზემოქმედებას.
	ამუბინეთ ისეთი აქტივობები, რომლებიც თქვენს კარგად ყოფნას უწყობს ხელს, განსაკუთრებით კი ადაპტირებული და

დადღილობა	რეგულარული ფიზიკური აქტივობა: სიარული, მებაღეობა, ცურვა, ველოსიპედით სიარული, სპორტი და ა.შ. ჩაანაცვლეთ აქტივობის პერიოდი დასვენებით და პირიქით.
წონა	გააკონტროლეთ რეგულარულად თქვენი წონა კუჭ-ნაწლავის დარღვევების დროს ან შეშუპების შემთხვევაში.
სტომატოლოგიური ჰიგიენა	გამოიყენეთ რბილი კბილის ჭაგრისი და გამოიყენეთ პირის ღრუს სავლები ნატრიუმის ბიკარბონატით. მოერიდეთ მენტოლის ან სპირტის შემცველი პირის ღრუს სავლებების გამოყენებას
თვალეები	მოერიდეთ საკონტაქტო ლინზების ტარებას. მოერიდეთ დაბალი განათების პირობებში მართვას.
თმის ცვენა	გამოიყენეთ რბილი შამპუნი (ჩვილებისთვის განკუთვნილი) მცირე დოზით. უპირატესობა მიანიჭეთ რბილ კბილის ჭაგრისს მოერიდეთ თმის ძალიან ხშირად დაბანას. მოერიდეთ სითბოს წყაროებს (ფენი, ცხელი ბიგუდები, თმის უთოები), თმის შეღებვას, მელირებას და ქიმიურ დახვევას.
შეშუპებები	მოერიდეთ მჭიდრო ტანსაცმელს, წინდებსა და ფეხსაცმელს. ააწყვეთ ფეხები სიმაღლეზე.
როგორ უნდა დაიწყოთ ადაპტირებული კვება?	
გულის რევის შეგრძნება	უპირატესობა მიანიჭეთ ფრაგმენტულ კვებას, რომელიც გადანაწილებულია რამდენიმე მსუბუქ რაციონად. საკვები უნდა იყოს თხევადი და ცივი. შეზღუდეთ ცხიმოვანი, შემწვარი და ცხარე საკვები.
ანთება პირის ღრუში (წყლული)	მოერიდეთ მჟავე ან წებოვანი საკვების მიღებას და ძალიან მარილიან საკვებს.
ღიარება	უპირატესობა მიანიჭეთ დაბალ ბოჭკოვან დიეტას. სასურველია, მიირთვათ სახამებლიანი პროდუქტები, სტაფილო და ბანანი. მოერიდეთ უმ ხილს და ბოსტნეულს, რძის პროდუქტებს, ყავას და ალკოჰოლს. დალიეთ წყალი დიდი რაოდენობით.
მადის დაკარგვა	უპირატესობა მიანიჭეთ უფრო კალორიულ საკვებს და „გემრიელი კვებას“.